№ 77 აპრილი 15, შაბათი　　1889　　აპრილი 15, შაბათი № 77


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889　　საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი　　1877—1889



ისყიდება

**ორ-სართულიანი სახლი**

6 ოთახით, 2 სამზარეულოთი, ერთის სარდაფითა და ბაღით ვერის მოედანზედ, ყანთრის წინ.

იკითხეთ იქვე ქეთევან ლომიძესთან. (3—1)


„გამგე კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა" უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ბანკის წევრთა და აგრეთვე წევრთა „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის", საზოგადოების წესდების მე-7 §-ის ძალით, მობრძანდნენ წლიურს საზოგადო კრებაზედ ამ 1889 წლის მაისის 6, საღამოს 6 საათზედ, თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში.

კრების განსახილველნი საგანნი არიან შემდეგნი:

1) გამგე კომიტეტის მოხსენება შესახებ სათავად-აზნაურო სკოლისა.

2) მომავალის სამოსწავლო წლის ხარჯი.

3) სახლის მოპოვება სკოლის საკუთრებად.

4) გამგე კომიტეტის თავმჯდომარის ამორჩევა ნაცვლად კონსტანტინე ქრისტეფორის ძის მამაცაშვილისა, რომელიც ათზედ მეტი წელიწადია, რაც ემსახურება საზოგადოებას ამ თანამდებობაზედ, და რომელმაც განაცხადა სურვილი დაეთხოვოს ამ თანამდებობას.

5) ზოგიერთნი ცვლილებანი, რომელიც უნდა მოჰხდეს 1881 წლის წესდების მუხლთა შესახებ. (3—3)

---

ტფილისი, 14 აპრილი

ერის ავ-კარგიანობისა და ყოფა-მდგომარეობის შესასწავლად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის იურიდიულ ჩვეულებათა ძიებასა და კვლევას. მართლაც, თუ გინდათ, რომ ერი ფეხზე დააყენოთ და იმის ძალ-ღონეს ფართო გზა დაუმკვიდროთ, აუცილებლად საჭიროა თვით ერის ვითარება გამოარკვიოთ და იმის იურიდიული ზნე-ჩვეულება გამოიკვლიოთ. ამიტომაც არის, რომ ყველგან, სადაც ეს აზრი ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი მართებლობასა და საზოგადოებას, დიდის სიფრთხილითა და ხალისით აგროვებენ ყველა მასალას და ცნობას, რაც-კი ერის ყოფა-მდგომარეობასა და აზროვნობას ეხება. მთელი ვითარება და კერძოდ იურიდიული ზნე-ჩვეულებანი თითოეულის ერისა იწნება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში და ნაყოფია მრავალ სხვა-და-სხვა გვარ მიზეზისა. ამიტომაც ერის ცხოვრების წესის ხელის შეხება, შეცვლა თუ გადასხვაფერება მეტად საფრთხილო საქმეა და მომაკვდინებელს ცოდვას ჩაიდენს ის, ვინც თვით ერის ყოფა-მდგომარეობას არ ჩაუდგება გვარში და ისე შეახებს ხელს ერის ცხოვრების წესსა და საძირკველს. მრავალი უბედურება და ხიფათი იბადება და ზოგჯერ მრავალი სისხლიც დაღვრილა ხოლმე მაშინ, როცა ერის ყოფა-მდგომარეობის უცოდინარნი ჩამდგარან იმის ცხოვრების სათავეში და განუზრახავთ ერის ცხოვრების გადასხვაფერება ერთის კალმის მოსმით.

ყოველსავე ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ჩვენში ბევრი არა გაგვიკეთებია-რა ჩვენის ერის ვითარების გამოსაძიებლად და შესასწავლად. საზოგადოდ მთელს ცხოვრებას ჩვენის ერისას და კერძოდ იმის იურიდიულს ყოფა-მდგომარეობას თავისი ფერი და ხასიათი აქვს და ეს იურიდიული ჩვეულება და ყოფა-მდგომარეობა ხომ თავი და თავი საძირკველია მოქალაქეობისა და პოლიტიკურის წეს-წყობილებისა. ჩვენის ერის იურიდიული ზნე-ჩვეულება-კი დღემდე თითქმის სრულიად არა გვაქვს გამოკვლეული და შესწავლული. ისინიც-კი, ვინც ერის ავსა და კარგს განაგებენ, უფრო ხშირად დაწერილის კანონით ხელმძღვანელობენ და ერის აზრსა და ჩვეულებას ყურს არ უგდებენ. ამ გარემოებამ მრავალი უსიამოვნება დაჰბადა ჩვენში და შესამჩნევადაც შეაფერხა ერის წარმატება.

ამ სამწუხარო ამბის შემხედვარეთ უსათუოდ ხელი უნდა მოვკიდოთ ერის იურიდიულ ყოფა-მდგომარეობის კვლევას. მკვლევარი თუ ბევრი არა, ცოტა ხომ მაინც აღმოჩნდება პირველ გზობით, ხოლო ამ მკვლევართ ხელმძღვანელი და გზის მაჩვენებელი დასჭირდებათ. ამ გვარი ხელმძღვანელი და გზის მაჩვენებელი რიგიანი, ვრცელი პროგრამა იქნება, რომლის შედგენა აუცილებლად საჭიროა. უპროგრამოდ საქმის რიგიანად დაწყება მეტად ძნელი საქმეა და ამიტომ ყოველგან, სადაც ერის იურიდიულს ყოფა-მდგომარეობას იკვლევენ, ცალკე კომისია თუ საზოგადოება არსებობს, რომელიც პროგრამასაც ადგენს და დროთა მიხედვით სცვლის და ავსებს და მკვლევართაც ხელს უმართავს.

ა. ს—ი

---

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში, როგორც ამბობენ, ტფილისში ჩამოვა შაჰი სპარსეთისა ნასრ-ედინი. ამ დღისათვის ტფილისში დიდი მზადებაა. ხმა დადის, რომ შაჰი ტფილისში სამი დღე დარჩება და დაათვალიერებს მუზეუმს, თეატრს, ძველს ნაშთებს ტფილისისას და შემდეგ წაბრძანდება სანადიროდ ყარაიაზში. სპარსეთის აქაური საკონსულო ერივანში დახვდება და მიეგებება შაჰსა.

*** დღეს, 15-ს ამ თვისას, ბუხარის საგანგებო ელჩი, რომელიც ამ ჟამად ტფილისში იმყოფება, ჰნახავს მთავარ მართებელს კავკასიისას თავ. დონდუკოვ-კორსაკოვს. შემდეგ დაათვალიერებს ტფილისის შესანიშნავ ადგილთა და შენობათა და საღამოს წავა ბაქოს, საიდგანაც ბუხარაში გაემგზავრება.

*** ჩვენ მოგვივიდა სომხურს ენაზედ დაბეჭდილი ვილიამ შექსპირის დრამა „ჰამლეტი", გადათარგმნილი სენექერიმ არწრუნის მიერ და ბარსეღ ქამალიანის გამოცემული. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი, 125 გვერდს შეიცავს და ფასად ერთი მა-

---

## ფელეტონი

### აი ისტორია

(წერილი მეორე*)

ჩვენა ვნახეთ, რომ ავტორმა Письма о Грузіи სამ თავდათავ საგნად წინ დაიყენა შეკვეტყობინოს, — „დაბერდა საქართველოს ერი და დაიცალა ღონისაგან, თუ ჯერ აქამომდე არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და თავისი ძალ-ღონე შეუნახავს მერმისისათვის". რა პასუხს მისცემს ავტორი ამ საკითხს, ამაზედ ბოლოს ვიტყვით. ჯერ მოვკვლიოთ — რა სამცნო მეთოდით მიჰმართა თავის ახირებულ საგნის გამორკვევასა.

თვითონ ავტორი ამაზედ არას ამბობს პირდაპირ, არც საჭირო იყო: თვითონ წერილები ავტორისა ამ შემთხვევისათვის „მოდი მნახეა". თუნდ ეგეც არ იყოს, რაკი ავტორი უკიჟინებს ჩვენს ლიტერატურას — არ იცის რა არის „შედარებითი მეთოდი კვლევისაო" (сравнительный методъ) და კრიტიკით არ შეხებია საქართველოს ისტორიასაო, უნდა ვიგულისხმოთ, რომ თვითონ ამისი მოკიჟინე ავტორი ამ მეთოდს და ამ კრიტიკას იხმარებს.

ძალიანა ვწუხვართ, რომ კარგა ხანს თავი უნდა დავანებოთ ავტორსა და შევუდგეთ იმის ახსნას თუ — რის მომასწავებელია „შედარებითი მეთოდი" და რასა ჰნიშნავს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ გავიგოთ — რის არცოდნა უკიჟინებია ავტორს ჩვენის ლიტერატურისათვის, ესე იგი, რა მოუთხოვნია ჩვენგან, რომ იგივე მოვსთხოვოთ თვითონ მას, რადგანაც, — როგორც ეტყობა, — იგი ამ მეთოდისათვის თავ-გამოდებულია და თავდადებული. რა თქმა უნდა, ვრცლად ამის ახსნას ვერ გამოვუდგებით, რადგანაც ამისათვის არც დროა და არც ადგილი პატარა გაზეთში. ამის ახსნას ჯონ-სტუარტ მილლმა რამდენიმე დაბეჭდილი თაბახი მოანდომა თავის სახელოვან თხზულებაში, რომელსაც „სისტემა ლოღიკისა" ჰქვიან.

ამ ჟამად ჩვენთვის საკმაოა მარტო თავიდათავი ძარღვი გავუგოთ ამ მეთოდსა ისიც იმ საგნების მიხედვით, რომელნიც ერთად კრებულად შეადგენენ ისტორიას მთელის მისის ვრცელის მნიშვნელობითა. რა თქმა უნდა, აქაც ისე ვერ გადავურჩებით, რომ სიტყვა არ გაგვიგძელდეს. თვითონ საგანია იმისთანა რთული და მრავალ ფესვ-შტოიანი, თუმცა ჩვენი სურვილი-კია, რომ მარტო დედაძარღვს მეთოდისას მივაგნოთ და სხვას ყოველს მის მეტ-ნაკლებობას და გარემოცულობას გზა ავუქციოთ.

ჩვენ წინადვე ბოდიშს ვიხდით ჯერ ჩვენის პირდაპირის საგნიდამ გადახვევისათვის და მერე იმისათვის, რომ აქ იძულებულნი ვიქმნებით ბევრი იმისთანა სიტყვები — ქართული თუ უცხო — ვიხმაროთ, რომელთაც ჯერ ადგილი არ დაუჭერიათ ჩვენს ენაში. ტერმინების უქონლობა ამ შემთხვევაში მეტის-მეტად აბრკოლებს კაცსა და იმის გარდა რომ აძნელებს გაგებას ნათქვამისას, სიტყვასაც ძალა უნებურად აგძელებს, თვითონ ენასაც აჭრელებს, ამძიმებს. ეს აჭრელება და დამძიმება არ უხდება არც წერასა, არც ლაპარაკსა და ამიტომაც როგორც საკითხავად, ისეც სასმენლად მოსაწყენია. ჩვენი ნუგეში ამ შემთხვევაში ის არის, რომ ვინც სიტყვაში აზრს ეძებს და არა მარტო გართობასა და სიამოვნებას, ის არ შეუშინდება ამ მოწყენასა და გაირჯება ძალა-უნებური სიმძიმე ენისა აიტანოს აზრის გაგების სურვილით.

არის იმისთანა სფერა საცოდნელისა, თუ საცნაურისა, სადაც მჭრელი და გამომძიებელი გონება ადამიანისა თავ-გამოდებული იბრძვის შეიტყოს სასურველი, გაიგოს, აიხსნას უტყუარად და შეუცდომელად. მაგრამ ამისათვის ვერავითარს გარეგანს საბუთს ვერ ჰპოულობს დასაბჯენად და ფეხის მოსაკიდებლად. ამისთანა სფერა საცოდნელისა, თუ საცნაურისა ყველა მეცნიერებაში არის და სხვათა შორის ისტორიაშიაც. ისტორიაში ეგ სფერა პირველ ყოფილი, პირველ დაწყებითი მდგომარეობაა თვითეულის ერისა და აქედამ მთელის კაცობრიობისაც. ეს მდგომარეობა იმ ხანას ეკუთვნის, რომელსაც ისტორიის წინად ყოფილს დროს ეძახიან, ესე იგი, იმ დროს, რომლის ხსოვნა არა აქვს ისტორიასა და მოუსვენარი, ცოდნის ხარბი გონება ადამიანისა-კი ჰცდილობს რაც ისტორიას არ დაუხსომებია, იგი თვითონ გვიამბოს, გვაცოდინოს. საიდამ და როგორაო? იკითხვენ. მართლა-და საიდამ და როგორ მაშინ, როდესაც არავითარი პირდაპირი მთხრობელი, არავითარი წერილობითი მოწმობა არ არსებობს?

პროგრესიო, ამბობს ფილოსოფოსი ბეკონი: არის გაუთავებელი შორს გადგმა არ-შესაძლებელის საზღვრებისაო. მართალიც არის: ვის ეგონა, რომ შესაძლებელია უშველებელ მანძილზედ კაცი კაცს გამოელაპარაკოს თვალის დახამხამების უმალ? ვის ეგონა, რომ შესაძლოა ორთქლმა სახლების ოდენა ვაგონები გააქან-გამოაქანოს გაჭენებულ ცხენზედ უფრო სწრაფად? დღეს ყველა ეს არის და ამ სახით საზღვარი არ-შესაძლებელისა ამაების შესახებ, წინად ახლო მდგარი, დღეს შორს გადადგმულია, ანუ, უკედ ესთქვათ, საზღვარმა შესაძლებელისამ ადგილი გადაინაცვლა და შორს გაიწია.

ესევე არ-შესაძლებელი შესძლო ადამიანის გონებამ, როცა შეუდგა იმის გამოძიებას და გაგებას თუ — რა მდგომარეობაში იყო კაცობრიობა საზოგადოდ, ან თვითეული ერი ცალკე იმ დროს, რომელიც ისტორიას არ დაუხსომებია, ან თვალი არ შეუსწერია. აქ ის მდგომარეობა იგულისხმება, რასაც „ცივილიზაციას" ეძახიან. ცივილიზაცია, ანუ წარმატებულობა ადამიანისა მიზეზი-კი არ არის, არამედ შედეგია ყოველ იმ ძალ-ღონისა ერთად, რომელნიც ერთად კრებულად მოქმედობენ კაცობრიობაში საზოგადოდ და თვითეულ ერში ცალკე. ამ გვარს ძალ-ღონეებს სოციალურ ძალ-ღონეს ეძახიან. ცოდნა, გონებრივი და ზნეობრივი აღმატებულობა, მრეწველობის, სიმდიდრის მეტ-ნაკლებობა, რწმუნება (вѣрованія) იმ საგნების მიმართ, რომელნიც ადამიანისათვის უდიდესად მისაჩნევია, მართველობა, წეს-წყობილება ოჯახებური, საზოგადოებური, სამოქალაქო; კანონები, ჩვეულებანი, ზნე-ხასიათი და სხვა ამისთანა სულ ერთად და ერთს დროს მომქმედნი ჰქმნიან იმას, რასაც რომელისამე დროის მდგომარეობას ერისას, თუ კაცობრიობისას ეძახიან, ანუ ცივილიზაციას თავისის მეტ-ნაკლებობით.

ყოველივე ეს, თუ ისტორიის წინად ყოფილ დროს ავიღებთ, ცხრა კლიტით დაკეტილი სალაროა და გასაღები ზღვაშია გადაგდებული. ადამიანის გონებამ მაინც იპოვა ეს გასაღები და ამ სალაროს კარი გაგვიღო ცოტად, თუ ბევრად.

ეს გასაღები ზოგში იგი ამბებია, რაც ადამიანს დაუხსომებია ზღაპრულად. ეს ზღაპარ-ნარევნი ამბები, თქმულობანი, რა თქმა უნდა, მოწმად და საბუთად მოსატანნი არ არიან რომელისამე ყოფილის საქმისა. ამ მხრით იგინი ძალიან ცოტად დასაჯერნი და სანდონი არიან. მაგრამ ხშირად ამისთანა ამბებში ვპოულობთ ბევრს მართალს აღწერას ზნე-ჩვეულებისას. სასაფლაონი და სამარხი ნაშთნი აკლდამებსა და კუბოებში ძველის-ძველის დროებისანი — ესენიც მეცნიერებამ გამოიყენა იმ ცხრა კლიტით დაკეტილის გასაღებად. თვითონ ენა ადამია-

*) იხ. „ივერია" № 71

ნეთი ჰლირს. როგორც შევიტყვეთ, იმავე სენექერიმ არწრუნის გადაუთარგმნია შექსპირის მეორე დრამა „მეფე ლირი“ და უკვე აბეჭდვინებს კიდეც.

*** ჩვენ გვთხოვენ ქალაქის არხიტექტორისა და პოლიციის ყურადღება ვათხოვოთ მესხიევის სახლს (№ 22), ბაგრატიონის ქუჩაზე. ამ სახლის კედლები თითქმის სულ ერთიანად დაბზარულია და ამიტომ პოლიციამ მდგმურები გამორეკა ამ სახლიდგან, მაგრამ უბედურება ხომ მაინც მოსალოდნელია: ადვილად შესაძლოა ქუჩის კედელი ჩამოწვეს და გამვლელ-გამომვლელი ხალხი იმსხვერპლოს.

*** ამ თვის 12-ს გომსა და ქარელს შუა მე 190 ვერსზე უპოვნიათ გვამი გორის მაზრის გლეხის არაქელ ხეჩოს ძის ფარასთაშვილისა, 25 წლისა. ფარასთაშვილი რკინის გზის მატარებელს მოჰყოლია ქვეშ; თავი ტანს მოცილებული აქვს.

*** ქავკავი: კავკავის გზიდგან გვაუწყებენ, რომ ზვავს, რომელიც გუდაურსა და კობს შუა ჩამოწვა ამ დღეებში, უკვე სწმენდნენ. ფოსტა და ეტლები, თუმცა დიდის გაჭირებით, მაინც გადაჰყავთ ამ ზვავზედ.

*** თუ რა მდგომარეობაშია დ. ცხინვალის ხიდი, შემდეგი ამბავი გვიჩვენებს: ამას წინად ერთი კაცი გადავარდნილა ამ ხიდიდგან, სიპს ქვას დასცემია და იქვე სული განუტევებია.

*** სოფ. ზილგე (კავკავის მაზრა): ჩვენს სოფელში, 30-ს მარტს, შემდეგი საცოდაობა მოჰხდა: ზილგეშივე მცხოვრებს ოსს ხსაროვს უცაბედად თოფი გაუვარდა, ტყვია მოჰხვდა ხსაროვის ბიძაშვილს გასათხოვარს ქალს ქვედა-ყბაში და სულ ერთიანად მიამტვრია. ქალი თუმცა ჯერ ცოცხალია, მაგრამ მორჩენის იმედი არ არის.

*** დ. ფვარილა, (შორაპნის მაზრა): მკითხველებს ეხსომებათ „ივერიის“ მე-28 №-დგან, თუ რა შემაძრწუნებელი მკვლელობა მოჰხდა წელს შორაპნის ციხის მახლობლად. ჩვენ ვამბობთ ესტატე თურმანიძის მოკვლაზე. გამოძიება დარწმუნდა, რომ ეს მკვლელობა თურმანიძის დაახლოვებულ მონათესავეს უნდა ჩაედინოს, სახელდობრ, ლეონტი ზიბზიბაძეს, რომელიც გამოძიების დაწყებისათანავე იყო შეპყრობილი. თუმცა დამამტკიცებელი საბუთი ზიბზიბაძეს წინააღმდეგ მრავალი იყო, მაგრამ იგი მაინც არ გატყდა. აი, ამ ზიბზიბაძემ განიძრახა გამოძიებას და სამართალს გაჰქცეოდა და 10 აპრილს, ე. ი. აღდგომის ორშაბათს თვისი წადილი შეისრულა კიდევაც როდესაც ჯარისკაცებს მიჰყავდათ სატუსაღოს ახლო წყაროსთან წყლის მოსატანად, ამ ზიბზიბაძეს ჯიბეში ჰქონია ნაცარი და კირი ერთმანეთში შეზავებული. მან ისარგებლა, სწრაფათ ამოიღო თურმე ჯიბიდან ნაცარი და კირი, ჯარის-კაცებს მიაყარა თვალებში და კიდევაც გაუშვა ხელიდგან. სანამ ჯარის კაცები თვალებს გაახელდნენ, ზიბზიბაძემ ერთის ვერსის მანძილი გაირბინა. ბოლოს ასტყდა თოფების სროლა, მაგრამ ერთიც არ მოჰხვედრია. წარმოიდგინეთ, თუ რამდენად ავნო ნაცარმა და კირმა ჯარის-კაცებს: ყველას თოფს უმიზნებდნენ. თქვენს მტერს, რაც ერთს დედაკაცს დღე დააყენეს. ამ ქალს ცხელმა ტყვიამ შუბლთან გაუშხვლა. ზიბზიბაძე დაადგა რკინის გზას, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, წინ შეეფეთა პოლიციის მოხელე ს. ავალიანი, რომელმაც გზა გადუღობა თავისუფლების მძებნელს. მეტი ღონე აღარ იყო, ავაზაკი გადავარდა მდინარე ყვირილაში და დაეშვა წყალ-წყალ. მდინარე ყვირილის ორსავე ნაპირებით მისდევდნენ ჯარის კაცები თოფების სროლით, მაგრამ დაოსტატებულმა ზიბზიბაძემ ერთიც არ მოიხვედრა. ამ რიგათ ზიბზიბაძემ გაიარა ოთხის ვერსის მანძილი. რამდენიც დრო გადიოდა იმდენი მეტი რიცხვი ემატებოდა ჯარის-კაცებისა, მაგრამ ვერაფრის საშუალებით ვერ დაიჭირეს ბოლოს ერთმა ყაზახ-რუსმა პირველს სროლისათანავე დასჭრა ზიბზიბაძე. სიცივემ და ჰრილობამ ბოლო მოუღეს თავისუფლების მძებნელს. აქ ჩაიყურყუმელავა წყალში და განუტევა სული. მკვდარი გაათრიეს ნაპირას. როცა მიცურავდა, ზიბზიბაძე გამოიძახოდა: „ღმერთო, მაცხოვნე, ღმერთო მაცხოვნე, ცოცხალი არ დავრჩებიო“.

*** სოფ. ხუმელაგა (კავკავის მაზრა): ამ თვის ოთხს ხუმელაგელები შემდეგს საზარელს კაცის-კვლას შეესწრნენ: ორი ხუმელაგელი გლეხი, ცალოევი და თეჩიევი, ამ თვის სამს წაჩხუბებულიყვნენ. მეორე დღეს სამნი ძმანი ცალოევები გზაზე ჩასხდომოდნენ საბრალო ბიძიკო თეჩიევს. გამოიარა თუ არა თეჩიევმა, გამოუცვივდნენ კეტებით ცალოევები, მაგრამ თეჩიევმა ჯოხით თავები გაუტეხა ორს ძმას. ამ დროს მესამე ცალოევმა წამოუარა თეჩიევს, ხანჯალი დასცა ზურგში და გულში გაუტარა. საცოდავი თეჩიევი იქვე დაეცა და ერთს საათის შემდეგ გარდაიცვალა.

*** ამ აპრილის დამდეგს ჯაჯის ხეობაზედ, სოფელ საჯიაში, ერთს ვიღაც ჯუკაშვილს შემდეგი ბარბაროსობა ჩაუდენია. თერთმეტის წლის მეცხვარე ბავშვისთვის მოუსწყვრია მან დორში და ცალი ყური შიგ ძირში მოუთლია. ეს ბავშვი ყოფილა სოფ. ედისიდგან, გვარად ბეგიზაშვილი ბეგიზაშვილებსა და ჯუკაშვილებს შუა რაღაც შუღლი და მტრობა იყო ჩამოვარდნილი და ამ ორის წლის წინად კიდეც მოჰკლეს ერთი ბეგიზაშვილთაგანი, მამა ყურმოჭრილის ბავშვისა ამ ორის კვირის წინად მოკლულის ბეგიზაშვილის უფროსს შვილს დახვედრია სოფ. როკის ჭალაში სამი ჯუკაშვილი და ძალიან ულემიათ ბეგიზაშვილი.

*** თოთხმეტს ამ თვისას, მეოთხე განყოფილებაში, ჟანდარმის უნტერ-ოფიცერმა ფილიპე დავიდოვმა თავი მოიკლა ბერდანის თოფით. გამოძიება სწარმოებს.

---

## სომხური ხორო ბ-ნ ყარა-მურზასი.

13 ამ თვისას ტფილისის სათავადაზნაურო კლუბის დარბაზში ბ-ნ ყარა-მურზას მიერ გამართული იყო სომხურის ხოროს კონცერტი. ეს კონცერტი, თუ არა ვცდებით, პირველი იყო ტფილისის სომხობისათვის, თუმცა-კი მისი არსებობის ხსენება პირველი გაგონება არ არის არც ერთის სომხისათვის. ბ-ნი ყარა-მურზა დიდი ხანია ადგია ამ საქმეს, არა ერთხელ და ორჯელ გაუმართავს კონცერტი ქ. ბაქოში, სადაც მუდმივ სცხოვრობს და, როგორც კონცერტის დამეს შევიტყვეთ, ოსმალეთის სომხეთიცკი მოუვლია თავისის ხოროთი. ხორო იმისი შესდგება 40 მომღერალისაგან, დაწყებული ვიდრე 8—9 წ. ყმაწვილებიდგან, რომლებიც სულ მოსწავლეები არიან. აცვიათ ოსმალეთის სომხეთ ტანისამოსი ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ოსმალური ტანისამოსი თავისის განუშორებელ წითელ ფესით.

კონცერტი შესდგებოდა ორ განყოფილებისაგან და იმღერეს სულ თერთმეტი სხვა და სხვა სომხური სიმღერა. ყველა ეს სიმღერები საცალხმო იყო, როგორც ყველა სომხური სიმღერა, მაგრამ ბ-ნს ყარა-მურზას საკუთარის მეცადინეობით თითქმის ყველა ეს სიმღერა ოთხ-ხმაზე აქვს გადაკეთებული. რასაკვირველია, ამ სიმღერებს ეტყობა ეს ძალადობა და არა თუ თითოეულს ხმას არა აქვს ცალკე თავისი საკუთარი მელოდია, როგორც ეს არის ხოლმე ქართულს ხალხურ სიმღერებში, არამედ ხშირად და ძალიან ბევრგან ამ 40 კაცის სიმღერა იმავ საცალხმო სიმღერად ისმის. მაინც და მაინც ეს კონცერტი პირველი ნიმუში იყო და მეტად დიდი უპირატესობა ჰქონდა ჩვეულებრივ საცალხმო სომხურ სიმღერების წინაშე. უფრო უკეთესები იყო ამ კონცერტზე და უფრო მეტადაც მოეწონა საზოგადოებას: 1, ხალხური მუზ. ჩუხაჩიანისა; 2, ტრაგედიიდგან „საული“ მუზ. კახცაძეანისა და 3, ერთი სიმღერა „ქმარი ქათმიდგან“. დიდი სამსახური გაუწია ამ საღამოს ბ-ნმა ვარდიკიანმა, რომელსაც საკმარისად იცნობს ტფილისის სომხის საზოგადოება და რომელიც თავის თავადაც ადგენს ხოლმე აქ, ტფილისში, წვრილ-წვრილ ხოროებს საცალხმო სიმღერების მომღერალთაგან.

თუმცა ამ ხოროს ჯერ კიდევ კიწვრთა და მოწყობა ეჭირვება, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი წვრილმანი (იქნება სხვილმანიც) ნაკლულევანება აქვს, მაგრამ საზოგადოებამ მაინც დიდის

---

ნისა, მისი სიტყვიერება მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ. ეტნოლოგიური აღწერა კაცთა ნათესავისა, ყოველის ცალკე თესლისა მთელს დედამიწის ზურგზედ ბევრს რასმე მოგვითხრობს მასზედ თუ—ვინ და რასაიდამ წამოსულა, როგორ უვლია და სადამდე მისულა.

რამოდენადაც ზედ-მიწევნით გამოვიკვლევთ ენას, მითოლოგიას, ზნეჩვეულებას, სარწმუნოებას, არხეოლოგიურსა და ეტნოლოგიურს ნაშთსა და კვალსა, იმოდენად ძლიერ ვრწმუნდებით, რომ აზრი დღევანდელის ველურის კაცისა იმ მდგომარეობაშია, როგორც პირველ დაწყებითი სადედე შემდეგისა. ამავე დროს დავინახავთ, რომ განათლებულის კაცის ჭკუას დღესაც საკმაოდ აჩნევია კვალი, ნიშანი იმ წინანდელის მდგომარეობისა, რომლის მიხედვით ველური კაცი წარმოადგენს სულ უმცირესს და განათლებული კაცი სულ უდიდესს პროგრესსა[1]).

ყოველ ამაებში ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზედ უფრო შემძლებელია და ყველაზედ სანდო მოწამე ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგანაც უფროს - ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას. მაგალითებრ, გამოცნობილია, რომ რამდენადაც ბევრია საერთო სახელები ენაში და ახლოა ერთმანეთზედ მათი მნიშვნელობა, იმოდენად შესაძლოა

[1]) ტეილორი.

გამოვარკვიოთ ცოდნა ეპოქისა[2]). ენის მკვლევარი მეცნიერება ფილოლოგიაა და ამიტომაც მართალს ამბობენ, რომ ფილოლოგია და ისტორია მხარ და მხარ დადიან, ერთმანეთს ჰშველიან, რადგანაც ცხოვრება ერისა გადაშლილია, გამომჟღავნებულია მის ენაში, რომელიც უტყუარი სარკეა ყოველის მისის თავ გადასავალისა და ყოფა-ცხოვრების ცვალებადობისაო[3]).

აქედამა სჩანს ენის გამოკვლევა რა დიდი ღონეა ადამიანის გონებისათვის და ფილოლოგია, როგორც ენის მკვლევარი მეცნიერება, რა სამსახურს უწევს ისტორიასა მის წინა დროთა აღსადგენად და საცნობლად. ეს ღონე გამოიჩინა ფილოლოგიამ უფრო მაშინ, როცა ადამიანის გონებამ მიაგნო ერთს გვარს გზას კვლევისას, რომელსაც „შედარებითი მეთოდი“ ჰქვიან. ამ მეთოდმა, სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა, ისეთი უტყუარობა, ისეთი ზედ-მიწევნილობა აღმოიჩინა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეცნიერება, რომელიც, საცა საჭიროა, ამ მეთოდს არა ჰხმარობდეს. ამ მეთოდით ბევრს მწყვდიადსა და ბნელს ნათელი მოეფინა, ბევრი დაფარული გამომჟღავნდა. ამიტომაც ამბობს ერთი მეცნიერი[4]), რომ „შედარებითი მეთოდი ერთი უდიდესი ძლევა-მოსილობაა გონებითად ჩვენის საუკუნისაო“. მისის სიტყვით, ამ მეთოდმა იმისთანა გზა

[2]) ჯონ-სტუარტ მილლი.

[3]) ეიჰგოფი.

[4]) ედუარდ ფრიმანი, ინგლისელი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი.

გაგვიჭრა, რომლის შემწეობითაც დღეს შესაძლოა მთლად და უეჭველად დავრწმუნდეთ იქ, საცა უწინ მარტო ამიცანებით და ეჭვით ლაპარაკი იყო. ამ მეთოდამ მოგვცაო, ამბობს იგი: ღონე და სახსარი შინაგანის საბუთებით დავამტკიცოთ უფრო ცხადად და უტყუარად ის, რასაც გარეგანი საბუთები არა აქვსო.

პირველი, რომელმაც ეს მეთოდი იშვილა, ფრიმანის სიტყვით, არის ფილოლოგია და მას აქედ ფილოლოგია, ანუ, უკედ ვსთქვათ, შედარებითი ფილოლოგია ისე მაგარს საფუძველს დაებჯინა, რომ ვერა ძალი ვეღარ შეარყევსო. თუმცა იმ ხანასი, რომელსაც შედარებითმა ფილოლოგიამ თავისი ნესტარი გაუბნია, არავითარი წერილობითი მოწმობა არ დარჩენილა, არავითარი პირდაპირი გეში, მაგრამ, ამბობს იგივე ფრიმანი, საბუთები შედარებითის ფილოლოგიისა უფრო საიმედონი არიან, ვიდრე ბევრი რამ იგი, რასაც იძლევა წერილობითი ნაშთი ისტორიისაო. ამ გზით ჩვენ იმისთანა ამბებს ვცნობულობთო, რომელთ შესახებ შეუძლებელია გარეგანი საბუთი, მაგრამ შინაგანი საბუთი-კი, რაკი ერთხელ ნაპოვნია და დადგენილი, შეურყეველია და ყოველს ეჭვს უკარგავს ადამიანსაო.

ეს ჩვენი ნათქვამი თუმცა გვეუბნება რის მომასწავებელია და რა ღირსებისაა შედარებითი მეთოდი, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ არა ჰხსნის თითონ მეთოდი რაში მდგომარეობს. თუ აქ, ვიდრე ამას ავხსნიდით, უფრო შედარებითი ფილოლოგია ავხსენით, მარტო იმისთვის, რომ თვით მეთოდის ახსნა გავიადვილოთ, იმიტომ-რომ სხვა სამეცნიერო სფეროში ეს მეთოდი ისე საკუთრად, მარტივად და შეურევნელად დასანახი არ არის, როგორც ფილოლოგიაში.

თითონ სიტყვა „შედარება“ ცოტად თუ ბევრად გვამცნევს—რა უნდა ვიგულისხმოთ როცა ვამბობთ „შედარებითი მეთოდი“. შედარება იმ მოქმედებას გონებისას ჰქვიან, როცა ორს ანუ რამდენსამე საგანს ერთმანეთს წაუყენებს, დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს რაში აქეთ მსგავსება, ერთნაირობა და რაში სხვაობა და სხვა ნაირობა. შედარების საგნად შესაძლოა რამდენიმე სხვა-და-სხვა ნაირი შემთხვევაც იყოს ერთისა და იმავე მოვლენისა, ხოლო იმისთანა შემთხვევანი-კი, რომელთშიაც გამოსაძიებელი მოვლენა თავს იჩენს ასე თუ ისე.

სწორედ რომ ვსთქვათ, სიტყვა „შედარება“ სრულად არ უხდება, სრულად არ შეეფერება იმ გვარს კვლევას საგნისას, რომელსაც ამ სიტყვით ჰხატავს მეცნიერება ყველა ენებში. ეს გვარი კვლევა შედარება-კი არ არის, სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან სათავიდამ ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამისათვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც-კი ან საგანს, ან მოვლენას თავი გამოუჩენია.

ვსთქვათ, შევგხვდა ქართული ბაშვური სიტყვა „აჩუა“. საიდამ არის ეს სიტყვა, რის მომასწავებელია და ჰნიშნავს იმას თუ არა, რასაც ბაშვი ამ სიტყვით ასახელებს? ჩვენს ენაში ამ სიტყვის ასახსნელს ვერაფერს ვიპოვნით. თუ კვალში ჩავუდგებით და სხვა ენებს ამ განზრახვით მოვჩხრეკთ, დავინახავთ, რომ სანსკრიტულად[5]) açva, ზენდურად[6]) aspa ლათინურად equus, ირლანდიურად ech, ლიტოვურად aszwa ცხენსა[7]) ჰნიშნავს და ყველგან ისმის ცხადად და ნათლად ჩვენებური „აჩუა“. ცხადი არ არის ეხლა რის ნაშთია და საიდამ წარმომავალია ეს სიტყვა „აჩუა“, რომელსაც დღეს ჩვენში მარტო ბაშვი ჰხმარობს, ან ბაშვისათვის ვხმარობთ ცხენის მაგიერ?

რა თქმა უნდა, ეს ამბავი, ასე ცალკედ, ასე ობლად და მარტოდ აღებული, იმოდენად არა არის-რა, რომ კაცმა მისდა მიხედვით რაიმე გადაწყვეტილი აზრი შეადგინოს ან ერთა შთამომავლობასა და ნათესაობაზე, ან რაიმე მახლობლობაზე. ხოლო ყოველივე ამისთანა ამბავი, ცალკე თუ სხვებთან ერთად, ისტორიის მკვლევარისათვის ანგარიშ გასაწევია იმოდენად, რამოდენადაც იგი ანიშნებს ზედ გავლენას, დამოკიდებულებას ერთმანეთზე სხვა-და-სხვა

[5]) ძველის-ძველი ენაა.

[6]) ძველის-ძველი სპარსული.

[7]) შრადერი.

ალტალცებით მიიღო ბ-ნი ყარა-მურზა, რომელსაც, როგორც სჩანს, შრომა და სამსახური არ დაუზოგნია და თავისის შეძლების დაგვარ საზოგადო სომხურ ნაციონალურ საქმისათვის ღვაწლი დაუდვია. სწორედ ამ მხრივ შეჰხედა საზოგადოებამ და სწორედ ამანვე გამოიწვია ის დაუსრულებელი ვაშა ვაშას ძახილი, რომელიც ესე ამხნევებს და ასულდგმულებს ყოველსავე საზოგადო დაწყობილობას. თუ ამასთანავე ისიც ვიქონიეთ სახეში, რომ ბ-ნი ყარა-მურზა არ არის დიდის შეძლების პატრონი და, მაშასადამე, არც შეუძლიან განსაკუთრებით მარტო ამ საქმეს მიეცეს, ვერც მოახერხოს საუკეთესო ხმები შეიძინოს, ვერც იყოლიებს მუდმივ მომღერლებს და იმისი საქმე დამოკიდებული იქმნება ყოველთვის სიმღერის მოყვარეებზე, რომელთაგან დღეს ერთი აკლდება ხოროს, ხვალ მეორე გაეწერება, დღეს ერთის მოადგილე უნდა ჩააყენოს, ხვალ მეორის სამაგიერო, მაშინ ჩვენც ვიტყვით ჩვენის მხრივ სომხის საზოგადოებასთან ერთად, რომ ბ-ნ ყარა-მურზას სომხური ხორო ძალიან კარგი ხოროა და მას მხოლოდ გამხნევება, თანაგრძნობა და დახმარება უნდა ყოველ სომხისაგან საზოგადოდ და „მოკეთისაგან“ კერძოდ.

ალნიაშვილი

# უცხოეთი

ინგლისი. ბირმინგამში ადგილი განთავისუფლდა დეპუტატის ჯონ ბრაიტის სიკვდილის გამო. კანდიდატებად გამოვიდნენ გლადსტონელი ბილი და უნიონისტი ბრაიტი, შვილი მიცვალებულის ჯონ-ბრაიტისა. გლადსტონელი კანდიდატი დამარცხდა ამ არჩევანებზე სამაგიეროდ მეორეგან, სადაც იმ ხანებშივე იყო არჩევანები დეპუტატისა, გლადსტონელმა კანდიდატმა გაიმარჯვა. ბირმინგამში პირველად ჩერჩილის გამოყვანა უნდოდათ კონსერვატორებს, მაგრამ უნიონისტებმა არ ისურვეს. რაკი ჩვენი წარმომადგენელი ჯონ-ბრაიტი იყო, ესე იგი უნიონისტი, ეხლაც უნიონისტი უნდა ავირჩიოთ და არა კონსერვატორიო. უნიონისტებსა და კონსერვატორებს ამის გამო კინაღამ დიდი უსიამოვნება მოუვიდათ. მაგრამ მერე კონსერვატორები დააჯერეს, როგორც იყო, ბრაიტის შვილისათვის მიეცათ თეთრი კენჭი, თორემ თქვენს ჩხუბში გლადსტონელების კანდიდატი გაიმარჯვებსო.

— ბალფურს, მთავარ-სეკრეტარს ირლანდიის საქმეთა გამო, ამ ხანად ერთხელ კიდევ წასწვდნენ გლადსტონელები პარლამენტში. სტიუარტმა ჰკითხა: მიბრძანეთ, მართლა შარშან ირლანდიაში საიდუმლოდ ცირკულიარები დაიგზავნა, აბა შეგვატყობინეთ თუ იცით ვინმე მოწამე, რომ დაამტკიცოს კავშირი დანაშაულობათა და ლიგისა ირლანდიაშიო. მერე მიეცა ამ გვარად შეკრებილი ცნობანი „Times“-ის რედაქციას, თუ არა? ბალფურმა უარი სთქვა, მე მაგ საკითხზე პასუხის მოცემა არა მსურსო. სტიუარტი კვლავ შეეკითხა: თქვენ ხომ არ უარ-ჰყოფთ, რომ ამისთანა ცირკულიარი იყო? ბალფურმა უპასუხა: მე არც უარ-ვყოფ და არც ვამტკიცებო. ამ ლაპარაკის დროს ოპოზიცია იცინოდა და ტაშს უკრავდა სტიუარტს. ბოლოს პარნელმა სთქვა, რომ ბალფურმა უნდა აგოს პასუხი სტიუარტსაო. სპიკერი ჩაერია და გამოაცხადა, რომ პარნელის შენიშვნა უადგილოაო. მაგის სიჩუმე მაშ იმის ნიშანია, რომ საბუთი აქვს სტიუარტის აზრსაო, სთქვა კვლავ პარნელმა. რასაკვირველია, მთავრობას ნება აქვს მაგისთანა ცირკულიარები დაჰგზავნოს, მაგრამ მხოლოდ თავის საჭიროებისათვის. ხოლო თუ მართლა ეგ ცირკულიარი არსებობდა, მაშ მთავრობამ იტყუა, როცა ჩემ შესახებ დანიშნულს კომისიას აუხსნა, რომ მთავრობას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია იმ დავაში, რომელიც გაზ. „Times“-სა და პარნელს ჩამოუვარდათო (მოისმა ტაშის-კვრა).

— ვიცე-კოროლი ირლანდიისა მარკიზი ლონდონდერი სამსახურს თავს ანებებს. თავის წინა მოადგილეებსავით; ესეც დარწმუნდა, რომ ჰომრული საჭიროა ირლანდიისათვის და ამიტომ ბალფურის პოლიტიკა აღარ ეჭაშნიკებაო.

— 1 აპრილს გაათავა სერ ჩარლზ როსელმა თავისი სიტყვა პარნელის გასამართლებლად წარმოთქმული. ამ სიტყვის თქმას ადვოკატი როსელი მოუნდა მთელს ერთს კვირას. ამბობენ, რომ ეს სიტყვა უდიდესი, უკეთესი და უფრო საბუთიანია, ვიდრე სხვა რომელიმე, ოდესმე ირლანდიის გამო წარმოთქმულიო. გლადსტონის გაზეთი ამბობს, რომ ჩვენის სასამართლოს ისტორიაში სხვა მაგალითი არა ყოფილა, რომ ისეთი მძიმე საქმე დაჰვალებოდა კაცს, როგორც როსელს დაევალა იმას უნდა დაეცვა მთელი ერი ირლანდიისაო. ადვოკატი იმ სიტყვის წარმოთქმით გადიქცა პატრიოტად და სახელმწიფო კაცადაო. სულ ცხრა მუხლი თურმე იყო პარნელის ბრალდებაში და როსელმა ეს ცხრა მუხლი დაარღვია სათითაოდ თვით „Times“-ის მოწმების ჩვენებითვე. ბოლოს როსელმა შეაქო მოღვაწენი ირლანდიისა და სთქვა, რომ იმათ მეტად დიდი და მძიმე საქმე ჰხვდათ წილადაო. დიდი და მძიმე იმითი იყო ირლანდიის პატრიოტების საქმე, რომ მეტად ბევრი და საშინელი დაბრკოლებანი დახვდათ წინაო. „ცხრა წლის წინად, როცა ამათ ირლანდიის საქმე დაიწყეს, ირლანდიელი გლეხ-კაცი თრთოდა ლენდლორდის წინაშე, მის მოურავისა და სამოსამართლო ბოქაულის შიშითაო. ეხლა-კი ირლანდიის გლეხ-კაცს თავი ამაყად უჭირავს, სწორედ ისე, როგორც შეჰფერის თავისუფალის ქვეყნის შვილსაო. ამ ათის წლის განმავლობაში ირლანდიის ფარულნი და იდუმალნი საზოგადოებანი ნელ-ნელა გაჰქრნენ და მათი ადგილი დაიჭირა იმ საზოგადოებამ, რომელიც უფრო კანონიერს ხერხსა და ღონისძიებას რჩეობს საბრძოლველად. ამავე ხნის განმავლობაში ირლანდიის სასოწარკვეთილება იმედად გადაიქცა. თუ აქამდე ეს ქვეყანა ინგლისს არ უნდოდა, დღეს-კი მეგობრობითა და მოკეთობით შე ჰყურებს. თვით ინგლისში აქამდე გულგრილად უყურებდნენ ირლანდიას და ახლა-კი თანაუგრძნობენ და გულ-მტკივნეულობით ეკიდებიან. მილორდებო, მე გავათავე ჩემი სათქმელი“.

როსელი გრძნობითა და აღელვებით ლაპარაკობდა, მაგრამ ისე ხმადაბლა-კი ლაპარაკობდა, რომ ძლივს გვესმოდა, და გვესმოდა იმიტომ-რომ დიდი სიჩუმე იყო დარბაზშიო. მხოლოდ ერთხელ შეუმაღლა ხმა როსელმა, როცა მიჰმართა ცილის-მწამებელთ და ბრალმდებელთ და უთხრა მუქარით; „ეხლა საქმე შეიცვალა: ჩვენ ბრალმდებელნი ვართ და თქვენ-კი ბრალდებულნიო“.

# წვრილი ამბები

რედაქციას გაზეთ „East Anglican Daily Times“-ისას ამ ჟამად უკვე დაუწყია ცდა, რომ გაზეთი ელექტრონის საშუალებით ჰბეჭდოს იპსვიჩში ინგლისს.

— საყურადღებო წიგნი შეუდგენია რომზე იტალიელ არქეოლოგოსს მარკო ბესსოს: შეუკრებია ყოველ გვარი ანდაზები და თქმულობანი რომის შესახებ და თავისს წიგნში სცდილობს გამოარკვიოს და ახსნას ყოველ თქმულებისა და ანდაზის საზამი, მიზეზი. წიგნს სათაურად აწერია: „რომი ანდაზებში“.

— ოგაიოს შტატში, ამერიკას, ახალი ქალაქი გაუშენებიათ და დიდებულის ასტრონომის პატივსაცემლად ამ ქალაქისთვის „კოპერნიკი“ უწოდებიათ. ამ ახლად გაშენებულს ქალაქში ერთის თვის წინად აუშენებიათ პირველი სახლი და ეხლა უკვე ორას სახლამდეა თურმე.

— პარიჟის გაზეთი „Figaro“ იმ აზრისაა, რომ ბულანჟესა და დილიონს ბედად ეწერათ სასჯელი და ის ბრალი, რომ საფრანგეთის მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულობა ჰქონდათ, უეჭველად უნდა დასდებოდათო. ამ ოთხმოც-და-თხუთმეტის წლის წინად სწორედ ამ გვარისავე ბრალდების გამო სამართალში იქმნენ მიცემულნი და შემდეგ დასჯილნი თავის მოკვეთით დილიონი და გენერალი ბულანჟე, რომელნიც ახლანდელის დილიონისა და ბულანჟეს თანამეგვარენი არიან, ან იქნება ნათესავებიც იყვნენო. მაშინ იმათ ჰბრალდებოდათ, რომ შეთქმულობა ჰქონდათ საფრანგეთის თავისუფლების წინააღმდეგ, შინაური განხეთქილება და ამბოხი უნდა მოეხდინათ, საერო წარმომადგენლობა დაეთხოვნათ, დეპუტატები და პატრიო-

ერებისას, რომელნიც, რაკი ამისთანა საბუთია, უეჭველია ერთმანეთს ოდესღაც შეხვედრიან ისტორიის გზაზედა ისე, თუ ასე. ფრიმანი უფრო დიდს ავალას აძლევს ამისთანა ამბავსა, თუმცა ზოგიერთნი ამაში უცილობლად ბევრს არას უთმობენ ამ მეცნიერს.

ფრიმანს მოჰყავს მაგალითად სიტყვა mill, molare, რუსული молоть და ამბობს, რომ ერთ-გვარ ენების ჯგუფში ყველგან ეს თავდაპირველი ძირი სიტყვისა იხმის ზოგან უცვლელად და ზოგან ცვლილებით იმ მოქმედების აღსანიშნავად, რომელსაც «ფქვა» ჰქვიანო. აქედამ წარმომდგარია თვით წისქვილის სახელიცაო ამ სხვა-და-სხვა ერთმანეთზე იმოდენად დაშორებულ ენებში, რომ ერთის მიერ მეორისაგან შემოღება რისამე საზოგადოდ და სიტყვისა ცალკედ ყოვლად შეუძლებელია ისტორიულის საბუთით კაცმა წარმოიდგინოსო. ნუ თუ ეს ამბავი შემთხვევას უნდა მიეწეროს და არა იმას, რომ ეს სხვა-და-სხვა ენები ოდესღაც ერთი და იგივე ენა ყოფილაო. შეიძლება რომელმამე ცალკე ერმა ცალკე, თავისგნით მოიგონოს ხელობა ფქვისა, მაგრამ რომ ამ მოქნედებას ერთი და იგივე სახელი დაარქვას ერთმანეთზედ დამოუკიდებლად—ეს კი ყოვლად შეუძლებელიაო. თუ ესეა, როცა სახეში გვაქვს მარტო ერთი ცალკე სიტყვა, რაღა ითქმის მაშინ, როცა ამისთანა მსგავსებით სხვა ბევრი სიტყვაც აღმოჩნდება სხვა-და-სხვა ერთმანეთზედ დაშორებულ ენებშიო. როცა ამისთანა საბუთები წინ გვედება, შეუძლებელია კაცმა ის დასკვნა არ გამოიყვანოს, რომ ყველა ამ გვარად შედარებული ენები ოდესღაც ერთი და იგივე ყოფილა და ერნი, რომელნიც ამ ენებს ჰლაპარაკობენ, ერთისა და იმავე შთამომავლობისაო, ხოლო განაწილებულან და გაყრილან მას შემდეგ, როცა უკვე ერთობაში მიუღწევიათ იმ ცივილიზაციის ხარისხამდე, რომ წისქვილის ხმარება სცოდნიათო, ამბობს ბოლოს ფრიმანი. აი როგორ ჰშველის შედარებითი ფილოლოგია ისტორიას.

ან, მაგალითად, ავიღოთ ჩვენი ჩვეულება, რომელიც გვიშლის, რომ მონაკვეთი ფრჩხილი, ან თმა არ გადავაგდოთ ცუდ-უბრალოდ და გვავალებს უსათუოდ ცეცხლში დავსწვათ, ან მიწაში ჩავფლათ. სად არის ამისი მიზეზი, სათავე? რის მომასწავებელია ეს ჩვეულება? აშკარაა, აქ რაღაც მიზეზს დაუდგენია ეს ჩვეულება და რა მიზეზს,—ეს-კი აღარ დაგვხსომებია. რომ მოვიჩხრიკოთ ყოველს დროს, ყოველს ადგილას, ყოველს შემთხვევაში, სადა-კი დედამიწის ზურგზედ ამ ჩვეულებას თავი უჩენია, ვნახავთ, რომ ეგ ჩვეულება ერთნაირ რწმენისაგან არის წარმომდგარი. უწინ სჯერებიათ, რომ ადამიანის კუთვნილს რასმე, საცმელს, სამოსელს, ნაკვეთს, ფრჩხილს, თმას და სხვას ამისთანას განუწყვეტელი კავშირი და დამოკიდებულება აქვს პატრონთან მაშინაც, როცა პატრონი ერთგან არის და მისი კუთვნილი მეორეგან, თუნდა ძალიან შორსაც. ამის საბუთს დღესაც ვხედავთ, როცა ჩვენებურს მკითხავებს აკითხვინებენ ხოლმე, ან ბედს შეაკვრევინებენ და გაახსნევინებენ მარტო იმით, რომ ხელსახოცზედ აკითხვინებენ, ან ხელსახოცს შეალოცვინებენ იმ კაცისას, რომელიც მკითხავზე შორს არის. ამ რწმენის პირდაპირი შედეგი ის არის, რომ რასაც ადამიანის კუთვნილს შეამთხვევთ, ის პატრონსაც შეემთხვევა. რადგანაც ესეა, შესაძლოა პატრონს მონაკვეთისას, მონარჩენისას, ან კუთვნილისას ჯადო რამ გაუკეთონ, ბედი შეუკრან და ბოროტი შეამთხვიონ. ამის შიშით ყველა თავისას უფრთხილდება, რომ უალაგო-ალაგას არა დარჩეს-რა, თორემ მავნე სული ან მტერი ვინმე იპოვნის, მოაჯადოებს და აქედამ ჯადო პატრონს ეწევა.

ყველგან, სადა-კი ეს ჩვეულება ითვალთვალება, მაგალითებრ, ავსტრალიის, პოლინეზიის, გვინეის ხალხში ჰნახავთ, რომ შიშითა ჰთრთიან დღესაც ჩვენს კუთვნილს რასმე ჯადო არ გაუკეთონ და იქიდამ ჩვენ არ გადმოგვედოსო. რა თქმა უნდა, რომ თუ ეს შიში ასე მოქმედობს მაშინ, როცა ლაპარაკი იმისთანა კუთვნილებაზეა, რომელიც ადამიანის ნაწილს არ შეადგენს, მაგალითებრ, ხელსახოცი და სხვა ამისთანა, მაშინ რაღა უნდა ითქვას, როცა კუთვნილი მონაკვეთი ნაწილია ადამიანისა, როგორც ფრჩხილი და თმა. ძველის-ძველს სპარსებს მთელი წესი და რიგი აქვნდათ დანიშნული მონაკვეთის ფრჩხილისა და თმის მიწაში დასამარხად, რომ მავნე სულებმა არა შეამთხვიონ-რა მათ გამო პატრონსა. შორს რად წავიდეთ, დღესაც ევროპაში ერიდებიან ფრჩხილისა და თმის გადაყრას ამავე შიშით. გერმანიის გლეხი დღესაც თურმე ყმაწვილის დაბადების დღიდამ ნათლობამდე სახლიდამ არაფერს გააცემინებს, რომ გაცემულს არავინ შეულოცოს და იმის გამო ბაშვს ბედი არ შეეკრას*).

ეს მაგალითი, სულ სხვა სფერის მოვლენიდგან ამოღებული, რა თქმა უნდა, შედარებულ ერთა ნათესაობის და ერთობის მომასწავებელი არ არის. იგი მარტო იმას გვაუწყებს, რომ ადამიანის გონებას ყველგან ერთისა და იმავე გზით უვლია თავის წარმატების გზაზედ, ერთ ნაირს შიშსა და საფრთხეს ერთ ნაირი წამალი მოჰყოლია და ერთნაირ მიზეზს ერთ ნაირად გადუხრია, ერთ ნაირად გაუტაცნია გონება. გარდა ამისა ეს მაგალითი შუქსა ჰფენს იმ წყვდიადსა, რომელიც დღეს გარს ახვევია ჩვენგან მოყვანილს ჩვეულებას, გვშველის აღვადგინოთ ის ეხლა დავიწყებული აზრი ჩვეულებისა, რომელიც ოდესღაც ასულდგმარებდა თვითონ ჩვეულებას. ამ გზით იგი ხელს უწყობს გაგებას და ახსნას ეხლანდელისას, რომელიც თუმცა შერჩენია ცხოვრებას, მაგრამ არც თავი უჩანს, არც ბოლო და სასაცილოდ-ღა ასაგდები გავეხდომია მაშინ, როდესაც ერთს დროს თავისი შესაწყნარებელი მიზეზი ჰქონია და, მაშასადამე, საპატიო ყოფილა. ისტორია სხვა რაა, თუ არ გამორკვევა, თუ არ ახსნა აწმყოსი წარსულისაგან.

აშკარაა, ამით ვერ ამოვწურეთ მთელი და რთული მნიშვნელობა „შედარებითის მეთოდისა“. ჩვენ შეგვეძლო ამ მეთოდის მაგალითები მოგვეყვანა სხვა მეცნიერებისაგანაც, მაგალითებრ, შედარებითის მითოლოგიდამ, შედარებითის პოლიტიკიდამ და სხვა ამისთანიდამ, რომელნიც ერთად ჰშველიან ისტორიას მის ქვემდებარე საძიებელში, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ რაცა ვსთქვით, ისიც საკმაოა დედა-ძარღვს ამ მეთოდისას კაცმა მიაგნოს. ამაზე მეტი სურვილი არც ჩვენა გვქონია. თუ მართლა ამ წინად თქმულმა ეს დედა-ძარღვი მეთოდისა გვაუწყა, ჩვენ ხელთა გვექნება სასწორი განკითხვისა.

როცა ამ სასწორზედ დავაყენებთ ავტორს Письма о Грузіи-სას თვითეულ ცალკე შემთხვევაში, მაშინ გავიგებთ ეს შედარებითი მეთოდი მის ხელთ ამბად გაგონილი ახალ მოდური ფრაზაა მტერისა და ბუქის ასაყენებლად, თუ მართლა მის მიერ შეთვისებული გზაა კვლევისა. ავტორმა უკიჟინა არ-ცოდნა ამ მეთოდისა ჩვენს ლიტერატურას. ეს იქნება მართალიც იყოს. ხოლო კაცი, როცა მეორეს უკიჟინებს, შენ ეს საქმე არ იციო და თვითონ ჰკიდებს ხელს ისევე, როგორც დაწუნებული კაცი, მაშინ მოკიჟინე ან ცუდ-უბრალო ბაქიაა, ან თვითონაც არ იცის, რას ამბობს.

*) ზანგების მოგვებმაც ასე იციან: როცა ავადმყოფს არ შეუძლიან მათთან მისვლა, მაშინ იმის ტანისამოსსა, თუ სხვას რასმე ამის მსგავსზედ შეულოცვენ ხოლმე.

ტესი დაუხოცათ, სარესპუბლიკო მთავრობა დაემხოთ და საფრანგეთი მტარვალისთვის გადაეცათო.

— ხუთის ამერიკის რესპუბლიკის დელეგატებს პირობა შეუკრავსთ და ხელიც მოუწერიათ, რომ თუ ჩვენთა რესპუბლიკათა შორის განხეთქილება რამ ჩამოვარდეს, მედიატორეთა სასამართლომ უნდა გაგვასამართლოსო. მედიატორეთ შეერთებული შტატები უნდა იყოს, არგენტინის რესპუბლიკა, ჩილი, მექსიკა, შვეიცარია და ან ევროპის ერთი რომელიმე ძლიერი სახელმწიფოო.

— ლონდონის საგეოგრაფიო საზოგადოებას სტენლისაგან მიუღია წერილი, რომელშიაც იგი იწერება: ვიპოვე ის საწამლავი, შხამი, რომელშიაც შვილდ-ისრებსა და იარაღს ჰშხამავენ აფრიკაშიო. აქაურნი ახმობენ და ჰფშვნეტენ წითელ ჭიანჭველებს, რომელიც აქაურს მიწებში ბევრი იპოვება, და შემდეგ ამ ნაფშვნეტს ზეთის ზეთში ჰხარშავენ. თუ ეს წამალი იარაში და ან გაჭრილს ადგილას მოხვდა სადმე ადამიანს, ცოცხალი ვერ გადურჩებაო.

— შეერთებულ შტატების ახალ პრეზიდენტის შვილი, როსსელ გარისონი, ამას წინად დაპატიმრებულ იქმნა თურმე იმას გამო, რომ თავის გაზეთში გაკიცხა და შეურაცხება მიაყენა მონტანის გუბერნატორისათვის, ხკაილერ კროსბისათვის. პრეზიდენტის შვილი მხოლოდ მაშინ გაუნთავისუფლებიათ, როცა 5,000 დოლარი შეუტანია წინდად, რომ არსად გავექცევი მართლმსაჯულებასაო. როგორც ამ ამბავიდგან სჩანს, შვილი გარისონისა პოლიტიკაში მოწინააღმდეგე ყოფილა მამისა.

—შვეციელს ლამოს გამოუგონია ახალი ამფეთქებელი წამალი, ბელიტად სახელწოდებული. ამ ახლად გამოგონილს საშუალებას ხალხთა ხოცვისა და ჟლეტისას თურმე არც ელექტრონის ნაპერწკალი ეკიდება და არც ცეცხლი, თუ განსაკუთრებული ფითილა არ მოუწყეს და იმის საშუალებით არ აანთეს. წარმოიდგინეთ, თოფის წამალი და ბელიტი ერთად შეურევიათ და შემდეგ ცეცხლი წაუკიდებიათ: თოფის წამალი აფეთქებულა, ხოლო ბელიტი-კი ხელ-უხლებელი დარჩენილა.

---

# დეპეშა

14 აპრილი

პეტერბურგი. გუშინ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა წავიდნენ გატჩინოს

ვენა ცხენის რკინის გზის კუჩრების მიერ ჩადენილი უწესოება უკვე დასრულდა. ჯარებმა ძალიან შეაშინეს კუჩრები.

ცხენის რკინის გზის საზოგადოება ისევ იღებს სამსახურში იმათ, ვინც მეამბოხეთა განზე გაუდგა. სათემო საბჭომ დაადგინა რკინის გზის საზოგადოებას გადაახდევინოს 50,000 გულდენი ჯარიმა.

გრაფ ტააფემ მიიღო დეპუტაცია კუჩრებისა და შეჰპირდა დახმარება.

**პეტერბურგის 11 აპრილი, ბირჟა**

| | მყიდველნი. | | გამყიდველნი. | | გარიგებანი. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 7 | 45 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 149½ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | — | „ | 1 | 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | „ | — | „ | 271½ | |
| —მეორისა . . . . . | — | „ | — | „ | 243½ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

---

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აპრილიდამ 16 აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ | » |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

---

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდან: სამ შაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მიდის: სამ შაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულკავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კადაზე გემები.

---

# განცხადებანი

სასოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად.

საუკეთესო ღონისძიებაა

!მთელის ქვეყნის მირო-

ზედ!

უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრეთ რუსეთისათვის ძმათა პეტრო კოკონოვებთან ოდესას.




ისყიდება ყველგან.

მყიდველებსა ვსთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და საფაბრიკო მარკას.

(26—25)

---

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი.

**Huste-Nicht**

Gerichtl. geschützt

„ნუ ახველებ“

თაფლი-ბალახიანი-მალცეექსტრაქტი და კონფეტები

ლ. გ. პიტშისა და ამხ. ბრესლავლში.

იხმარება წინააღმდეგ ხველისა, ხმის წასვლისა და ყელისა და გულის ავადმყოფობისა.

ხმარების რიგი და წესი:

დ-რმა მიხაელისმა med. praet. დაჰნიშნა ბავშთათვის 3—4-ჯერ დღეში თითო ჩაის კოვზი, ხოლო უფროსებისათვის ჰხმარობენ ყოველ დღე 4—6 ჩაის კოვზს ექსტრაქტს.

კონფეტების ამ თავ თვე ხმარებით შე ძლება საშემდეგისოდ აიცილოს ადამიანმა ხველა, ხმის წასვლა და ყელის გაცივება.

ქიმიკურ ანალიზითა და სამკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის. ამ წამლების რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.

ფასი: ბოთლი ჰღირს 1 მან. 25 კაპ. და 2 მან. 40 კაპ.

კონფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის იმყოფება ვ. ეურიხთან ს.-პეტერბურგს.

ისყიდება აგრეთვე რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით მვაჭრობის კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან.

(17—14)

---

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . | „ | 40 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| კრებული არითმეტიკული ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . | „ | 45 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ლამბაშიძისა . . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 4 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . . | „ | 15 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 75 |
| სამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . . | „ | 50 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 » . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 » . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 » . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 » . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 » . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

---

რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.




არყის ხის ბალზამი დ--რის ლენგილიასი,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ გაურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რამე ნივთიერებანი, პირ-იქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჰღირს 1 მან. 65 კაპ.; ბერზოს საპონი ჰღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჰღირს 70 კაპ., აზიის რუსეთს—1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება ვ. ეურიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—15)

Доз. ценз. Тифлисъ 14-го Апрѣля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской улиц. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე